

ICHANGE.GOV.GE

საზოგადოებაში
ცნობიერების ამაღლების
და განათლების კამპანია

კვლევის შემაჯამებელი
ანბარიში და
რეკომენდაციები

2018



act



USAID
ამერიკელი ხალხისგან

„Ichange.gov.ge პორტალის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების და განათლების კამპანია”

საბოლოო ანგარიში

ვერსია: 1.0

ანგარიში მომზადებულია „ეისითის“ მიერ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის“ პროექტ „Ichange.gov.ge პორტალის საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებისა და განათლების კამპანიის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „ეისითი“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის შეიძლება არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

ივნისი, 2018

რედაქტორი: **ხათუნა ყვირაღაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **სულხან სალაქი**



აინყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
Web: www.gyla.ge
E-mail: gyla@gyla.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	4
1. ქართული კონტექსტი	4
2. ძირითადი მიზნები	4
3. კვლევის მეთოდოლოგია	6
3.1. პირველი რაუნდი	6
3.2. მეორე რაუნდი	8
3.3. მესამე რაუნდი	8
4. კვლევის შედეგები	9
4.1. პირველი და მეორე რაუნდის შედეგების მიმოხილვა	9
4.2. კვლევის მესამე რაუნდის შედეგები	11
4.2.1. კვლევის მონაწილეთა დემოგრაფიული პორტრეტი	11
4.2.2. პორტალის შესახებ	13
4.2.3. მესამე რაუნდის შედეგების მიმოხილვა	21
რეკომენდაციები	22

შესავალი

მოცემული დოკუმენტი USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „Ichange.gov.ge პორტალის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების და განათლების კამპანიის“ ფარგლებში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ დაკვეთით ჩატარებული კვლევის ანგარიშს წარმოადგენს. დოკუმენტი კვლევის სამი რაუნდის შედეგებს ასახავს. კვლევის პირველი რაუნდი მიზნად ისახავდა პორტალ ichange.gov.ge-ის გამოყენების ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირებას. მეორე რაუნდის მთავარ მიზანს პორტალ ichange.gov.ge-ისა და მისთვის შექმნილი პრომომასალის შეფასება, ხოლო მესამე რაუნდის მიზანს – პეტიციების პორტალისთვის შექმნილი ვებგვერდის მომხმარებელთა მიერ პორტალის შეფასება წარმოადგენდა.

კვლევის სამი რაუნდის შედეგად მიღებულ მონაცემებს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ პორტალის გამოყენების მექანიზმების განსაზღვრისთვის, პეტიციისთვის თემების აქტუალიზაციისა და სამოქალაქო ჩართულობის ხელშემწყობის მიზნით აქტივობების დაგეგმვისთვის გამოიყენებს.

ანგარიში მოამზადა ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფმა „ეისითი“.

დოკუმენტი შედგება ქვეთავებისგან – ძირითადი მიგნებების, მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების შესახებ.

1. ქართული კონტექსტი

მოქალაქეთა ელექტრონული პეტიციების ოფიციალური სამთავრობო პლატფორმა ichange.gov.ge საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის მიხედვით აღებული ვალდებულების თანახმად, 2017 წლის მაისში (2017 წლის 18 მაისის დადგენილება №245) შექმნა.

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მთავარი პრინციპებია მთავრობათა ღიაობა, გამჭვირვალობა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, რასაც საქართველოს მთავრობა სტრატეგიული მნიშვნელობის ღირებულებად აღიარებს. საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების, მოქალაქეთა გაძლიერებისა და მთავრობის ეფექტიანობის, ასევე, საქართველოს მთავრობის გადანყვეტილებებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის, მთავრობისა და საზოგადოების ურთიერთდაახლოების გაადვილების უზრუნველსაყოფად გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად მოიაზრება პორტალ ichange.gov.ge-ს შექმნაც,¹ რომელიც მოქალაქეებს მისცემს სამოქალაქო ჩართულობის ისეთი ფორმის გამოყენების შესაძლებლობას, როგორცაა პეტიციის ინიცირება-ხელმონერა. აღნიშნულ პორტალზე მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, ონლაინ პეტიციის საშუალებით მთავრობისგან მოითხოვონ რეაგირება საკითხზე, რომლის გადაჭრაც სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაში შედის.

საქართველოს მთავრობის წინაშე ელექტრონული პეტიციის ინიცირებისა და ელექტრონულ პეტიციაზე ხელმონერის უფლება აქვს საქართველოს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს. ელექტრონული პეტიციის ინიცირებისთვის ან/და ხელმოსანერად მოქალაქე უნდა დარეგისტრირდეს პორტალ ichange.gov.ge-ზე, სადაც დარეგისტრირება უფასოა, რეგისტრაციისთვის აუცილებელი პირადი ინფორმაცია კი – კონფიდენციალური.

პორტალზე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში პეტიციამ 10 000 ხელმონერა უნდა მოაგროვოს. პეტიცია განსახილველად ეგზავნება ექსპერტთა კომისიას. მთავრობა ვალდებულია, დარეგისტრირებული პეტიციის 10 000 ხელმონერის შეგროვებიდან 3 თვის ვადაში მოამზადოს ოფიციალური ელექტრონული წერილობითი პასუხი.²

2. ძირითადი მიზნუბები

როგორც კვლევის პირველ რაუნდში გამოვლინდა, ერთ-ერთი მთავარი დისკურსის თანახმად, სამოქალაქო აქტივიზმში ძირითადად ჩართულები არიან: (1) სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, რომელთაც იციან, როგორ გახადონ საკითხები აქტუალური, აქვთ გამოცდილება და სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა მათთვის საქმეც არის და პასუხისმგებლობაც; (2) აქტიური მოქალაქეები, რომლებიც მცირე ჯგუფს წარმოადგენენ, „რადაცის შეცვლის სურვილი აქვთ“ და ამ ჯგუფების განახლება ხშირად არ ხდება. ეს დისკურსი გამოიკვეთა როგორც მოქალაქეების, ასევე ოფიციალური პირების კვლევისას.

¹ <http://ichange.gov.ge/Home/About>

² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2510377>

კვლევის მეორე რაუნდშიც მსგავსი დისკურსი დაფიქსირდა. კერძოდ, აზრთა ლიდერებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ პორტალი მოქალაქეთა ფართო წრის მოზიდვას ნაკლებად შეძლებს და მისი მთავარი მომხმარებლები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები იქნებიან. სწორედ ამ უკანასკნელთ შეუძლიათ ხელმომწერთა დიდი რაოდენობის მობილიზება, რადგან აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება და მათვე უნდა აიღონ პასუხისმგებლობა პეტიციისთვის საკითხების სწორად შერჩევაზე.

აღსანიშნავია, რომ ონლაინ კვლევაში მონაწილეთაგან სწორედ არასამთავრობო სექტორში დასაქმებულები მოიაზრებენ ყველაზე მეტად საკუთარ თავს მომავალში არა უბრალოდ პეტიციების სიახლეებით დაინტერესებულ პირებად (44%), არამედ პეტიციების ავტორებადაც (35%).

საგულისხმოა, რომ თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, რეგისტრაციასთან დაკავშირებით ბევრი კრიტიკული შენიშვნა დაფიქსირდა. კერძოდ, გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა: (1) რეგისტრაციისთვის მოთხოვნილი პირადი ინფორმაცია ძალიან დეტალურია; (2) რეგისტრაციის ფორმის შევსებისას მოთხოვნილი ზოგიერთი ველი არ არის ცხადი; (3) ვებგვერდს აქვს ტექნიკური ხარვეზები.

პეტიციისთვის ათი ათასი ხელმომწერის შეგროვებასთან დაკავშირებით აზრთა ლიდერებს განსაკუთრებული პრეტენზიები ჰქონდათ და ამ რაოდენობის მხარდამჭერის მობილიზების აუცილებლობა და ამისთვის ერთთვისანი ვადის განსაზღვრა „უსამართლობად“ შეფასდა. ვადებისა და მხარდამჭერთა რაოდენობის ამგვარმა განსაზღვრამ გაამყარა დისკუსიის მონაწილეთა ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ პორტალი ნაკლებად იქნება ქმედითი, ხოლო თუ იქ პეტიციები დარეგისტრირდება, შემდეგ კი მოაგროვებს მხარდამჭერების აუცილებელ რაოდენობას, საკითხები იქნება ნაკლებად სერიოზული.

პეტიციაზე ხელმომწერთა რაოდენობის შემცირებისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების გარდა, პორტალის ეფექტიანი მუშაობისთვის ფოკუს ჯგუფის მონაწილეები მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ კიდევ რამდენიმე ფაქტორს, კერძოდ, პორტალის შესახებ მოქალაქეთა ფართო წრეების ინფორმირებას და მთავრობის მიერ პორტალზე პეტიციის განუთავსებლობის მიზეზების განმარტებაზე პასუხისმგებლობის აღებას. როგორც ფოკუსური დისკუსიებისას აღინიშნა, აუცილებელია, პეტიციის ავტორს, პორტალზე პეტიციის განუთავსებლობის შემთხვევაში, ელფოსტით გაეგზავნოს დეტალური განმარტება იმის თაობაზე, თუ რატომ არ განთავსდა მისი განცხადება და არა – უბრალოდ ცნობა ამის შესახებ. მაგალითად, კარგი იქნება, პეტიციის ავტორებს აცნობონ, რომ კონკრეტული საკითხი ეხება არა მთავრობას, არამედ მერიას, რაც „ნაკლებად ბუნდოვანს“ გახდის მთავრობის პასუხს და ნაკლებ კითხვის ნიშნებს გააჩენს.

საგულისხმოა, რომ კვლევის მესამე რაუნდის შედეგად, ონლაინ გამოკითხვის მონაწილეებისთვისაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც პეტიციაზე ხელმომწერთა რაოდენობის შემცირება (29%), ასევე პორტალის შესახებ ინფორმაციის გავრცელება (24%) და ისიც, რომ ავტორებს პორტალის ადმინისტრაციამ განუმარტოს პორტალზე პეტიციის გამოუქვეყნებლობის მიზეზები (14%).

ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ პეტიციაზე ხელმომწერთა რაოდენობის შემცირებასა და პორტალის შესახებ ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობას თითქმის თანაბრად მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ ონლაინ გამოკითხვის მონაწილეები. კვლევის პირველ რაუნდში კი, როგორც მოქალაქეების, ისე ოფიციალური პირების აზრით, პეტიციისთვის 10 000 ხელმომწერის შეგროვება მარტივი არ იქნებოდა, თუმცა, ამას შეუძლებლად არ მიიჩნევდნენ. პირველ რაუნდში გაცილებით სერიოზულ დაბრკოლებად განიხილებოდა თავად პორტალის შესახებ მოქალაქეთა არაინფორმირებულობა.

აღსანიშნავია, რომ IRI-ის მიერ 2018 წლის აპრილში ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, პორტალ ichange.gov.ge-ის შესახებ გამოკითხულთა მხოლოდ 9%-ს სმენია.³ თუმცა, ამ კონტექსტში საგულისხმოა ის გარემოება, რომ, ზოგადად, მოქალაქეთა ინფორმირებულობა თვითმმართველობის განხორციელების ფორმების შესახებ ქვეყანაში დაბალია. 2017 წელს გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, თვითმმართველობის განხორციელების ისეთი ფორმის შესახებ, როგორცაა პეტიციის შედგენა ან ხელმომწერა, გამოკითხულთა მხოლოდ 14%-ს სმენია.⁴

რაც შეეხება ინფორმაციის მიღების წყაროებს, IRI-ის კვლევის შედეგების თანახმად, მოქალაქეთა უმრავლესობისთვის ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო ტელევიზიაა (90%). ქართულ ინტერნეტგვერდებსა და სოციალურ ქსელებს კი, შესაბამისად, მხოლოდ 22% და 11% ანიჭებს უპირატესობას. თუმცა, მესამე რაუნდში მონაწილე ონლაინ კვლევის ათიდან ოთხმა მონაწილემ პორტალ ichange.gov.ge-ის შესახებ სოციალური ქსელიდან შეიტყო (40%) და მასვე მიიჩნევს პორტალის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის კომუნიკაციის ყველაზე ეფექტიან არხად როგორც ზოგადად (83%),

³ http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29_georgia_poll_presentation.pdf

⁴ http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/DG/UNDP_GE_DG_citizen_views_public_services_2017_geo.pdf

ასევე პირველ რიგში (60%). რაც შეეხება ტელევიზიას, მას კომუნიკაციის ეფექტიან არხად გამოკითხვის მონაწილეთა მხოლოდ 23% განიხილავს.

ასევე საყურადღებოა, რომ ინტერნეტთან წვდომის არარსებობა და მისი გამოყენების უნარების არქონა ონლაინ კვლევის მონაწილეთა 27%-ის მიერ პორტალის გამოყენებისთვის დაბრკოლებად არ განიხილება, 26%-ი კი აღნიშნულს მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ IRI-ის კვლევის შედეგების თანახმად, ინტერნეტთან ყოველდღიური წვდომა აქვს გამოკითხულთა 45%-ს, მათ შორის, უმეტესობას ინტერნეტთან წვდომა აქვს სახლში (92%).⁵ ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ ინტერნეტთან წვდომა პრობლემას ნაკლებად წარმოადგენს და მთავარი მაინც თავად თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობის ფორმების შესახებ მოქალაქეთა დაბალი ინფორმირებულობაა. აქვე აღსანიშნავია, რომ CRRC-ის 2017 წლის კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 56% მთავრობას განიხილავს როგორც მშობელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაზე ზრუნვა არა მოქალაქის, არამედ სწორედ მთავრობის პასუხისმგებლობად ითვლება.⁶

პეტიციის შედგენის/ხელმოწერის, როგორც ინსტრუმენტის, გამოყენების ხელშემშლელ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს არა მხოლოდ ის გარემოება, რომ მოქალაქეებმა არ იციან ამ ფორმის შესახებ, არამედ ისიც, რომ ყველას არ აქვს წვდომა ინტერნეტთან, ან არ აქვთ მისი გამოყენების უნარები. დამაბრკოლებელი ფაქტორია ასევე უმრავლესობის რწმენა იმასთან დაკავშირებით, რომ მოქალაქეების აქტიურობას რაიმე გავლენის მოხდენა შეუძლია მათ მუნიციპალიტეტში კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებაზე. IRI-ის კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა უმეტესობას სჯერა, რომ მათი აქტიურობა პროცესებზე გავლენას ვერ მოახდენს (48%), ვიდრე – პირიქით (31%).⁷

ასევე აღსანიშნავია, რომ კატეგორია, რომელშიც ონლაინ კვლევის მონაწილეთა აზრით პეტიციები ყველაზე მეტ ხელმომწერს დააგროვებს, სოციალურ საკითხებს ეხება (43%). ამ მოსაზრებას ამყარებს IRI-ის კვლევის შედეგებიც, რომლის თანახმადაც, გამოკითხულთა უმრავლესობა ქვეყნის წინაშე არსებულ ყველაზე სერიოზულ პრობლემად სწორედ სოციალურ სფეროს მიკუთვნებულ საკითხს განიხილავს (უმუშევრობა – 40%).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგი ვარაუდების გამოთქმა:

- პორტალის მომხმარებლები, ძირითადად, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, სამოქალაქო პოზიციის მქონე აქტიური მოქალაქეები და სხვა დაინტერესებული მომხმარებლები იქნებიან, რომელთაც სჯერათ, რომ ქვეყნის მართვაში მონაწილეობა მათი პასუხისმგებლობაც არის. ასევე, სჯერათ, რომ მათ ჩართულობას რეალურად შეუძლია პროცესებზე გავლენის მოხდენა;
- ყველაზე მეტი ხელმომწერის მობილიზება, სავარაუდოდ, სოციალური თემატიკის პეტიციების გარშემო იქნება მოსალოდნელი;
- პორტალისა და პეტიციების შესახებ ინფორმაცია ძირითადად ინტერნეტის საშუალებით უნდა გავრცელდეს და მთავარი საკომუნიკაციო წყარო უნდა იყოს სოციალური ქსელი, პირველ რიგში, ფეისბუქი (IRI-ის კვლევის შედეგების თანახმად, მომხმარებლებს შორის ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი სწორედ ფეისბუქია – 86%);
- პორტალის მომხმარებლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ როგორც პეტიციების დარეგისტრირებაზე უარის მიზეზების, ასევე პეტიციებზე მთავრობის რეაგირების შესახებ.

3. კვლევის მეთოდოლოგია

პორტალ ichange.gov.ge-ის მუშაობის თავისებურებების გამოვლენისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, კვლევა სამ რაუნდად ჩატარდა. კვლევის პირველი ორი რაუნდი თვისებრივ კვლევას, მესამე კი – ონლაინ გამოკითხვას გულისხმობდა. შემდეგ ქვეთავებში წარმოდგენილია მეთოდოლოგია სამივე რაუნდისთვის.

3.1. პირველი რაუნდი

კვლევის პირველი რაუნდისთვის, რომელიც 2017 წლის შემოდგომაზე ჩატარდა, მთავარ მიზანს პორტალ ichange.gov.ge-ის გამოყენების ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება წარმოადგენდა. კვლევის კონკრეტულ ამოცანებად განისაზღვრა:

⁵ http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29_georgia_poll_presentation.pdf

⁶ <http://caucasusbarometer.org/en/cb2017ge/GOVTROL-withoutdkra/>

⁷ http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29_georgia_poll_presentation.pdf

- ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების იდენტიფიცირება;
- პრობლემების იდენტიფიცირება, მათ შორის, იმ საკითხების, რომელთა შესახებაც შესაძლებელია პეტიციების ინიცირება;
- სამოქალაქო ჩართულობის დამაბრკოლებელი და ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება;
- მოქალაქეთა მიერ სამოქალაქო ჩართულობის გამოყენებადი ფორმების იდენტიფიცირება.

გარდა ამისა, კვლევის პირველი რაუნდის ფარგლებში განხორციელდა პორტალისთვის შექმნილი ლოგოსა და სლოგანის ტესტირება. კერძოდ, კვლევის აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია პორტალის არსებული ლოგოს, პორტალთან მისი შესაბამისობისა და არსებული და შეთავაზებული ახალი ვერსიების უპირატესობა-ნაკლოვანებების შესახებ.

კვლევის პირველი რაუნდისთვის ორი სამიზნე ჯგუფი (მოსახლეობა (შემდგომში „მოქალაქეები“) და ოფიციალური პირები) და 7 ლოკაცია (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი, რუსთავი, თელავი) განისაზღვრა. მოქალაქეების კვლევისათვის გამოყენებული იყო ფოკუსური დისკუსიების ტექნიკა (ლოკაციაში – 2, სულ – 14), ოფიციალურ პირებთან კი – სიღრმისეული ინტერვიუს ტექნიკა (ლოკაციაში – 2, სულ – 14). ფოკუსური დისკუსიებისთვის სამიზნე ჯგუფი ორ ქვეჯგუფად იყო წარმოდგენილი – ე.წ. შერეული ჯგუფი და მონყვლადი ჯგუფი.

შერეული ჯგუფის კომპოზიცია: სტუდენტები და ახალგაზრდები; არასამთავრობო ორგანიზაციები; პროფესიული კავშირი; ბიზნესსოციალური მედია; პედაგოგები (ძირითადად, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები).

მონყვლადი ჯგუფები: იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ); შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (შშმპ); ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები; ეკომიგრანტები.

შერეულ ჯგუფებთან ფოკუსური დისკუსია შედგა ყველა ლოკაციაში, რაც შეეხება მონყვლად ჯგუფებს, მათი სრულიად განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, ჯგუფის კომპოზიცია სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფიდან ერთი დისკუსიისთვის რესპონდენტთა მონვევას არ ითვალისწინებდა. სხვადასხვა ლოკაციაში კონკრეტულ მონყვლად ჯგუფებთან დაიგეგმა დისკუსია. კერძოდ, *იძულებით გადაადგილებულ პირთათვის* შეირჩა კონფლიქტისპირა რეგიონები (ზუგდიდი და გორი); *ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთათვის* შეირჩა ამ ნიშნით უმცირესობებით დასახლებული რეგიონები (ბათუმი და რუსთავი); *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის* შეირჩა რეგიონები, სადაც შშმ პირთა რიცხვი და მათი პროცენტული წილი მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებით ყველაზე მაღალია (თბილისი და ქუთაისი);⁸ *ეკომიგრანტებისთვის* კი შეირჩა კახეთის რეგიონი (თელავი), სადაც ეკომიგრანტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან (ზემო აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი) არიან ჩასახლებულნი.

კვლევის მთავარი ფოკუსი მოქალაქეთა ჯგუფების კვლევა იყო, რომლის პარალელურად ჩატარდა კვლევა ოფიციალურ პირებთანაც. კვლევის ამ ნაწილის მთავარი მიზანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რას მიიჩნევენ მნიშვნელოვან მოვლენებად, პრობლემებად და სამოქალაქო ჩართულობისთვის ხელშემწყობ და ხელშემწყობ ფაქტორებად ის პირები, რომლებიც უშუალოდ არიან გადანყვეტილების მიმღებნი და რამდენად ემთხვევა მათი ხედვები მოქალაქეთა ხედვებს, არსებობს თუ არა თანხვედრა გადანყვეტილების მიმღებთა და მოქალაქეთა ხედვებს, მოლოდინებსა და დამოკიდებულებებს შორის.

სულ 14 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა (ლოკაციაში – 2); ინტერვიუსთვის რესპონდენტები შეირჩა ადგილობრივი თვითმმართველობის (წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი) ორგანოებიდან.

ცხრილი 1. პირველი რაუნდის დიზაინი

პირველი რაუნდი - თვისებრივი კვლევის დიზაინი		
ტექნიკა	პირისპირ ინტერვიუ	ფოკუსური ჯგუფი
სამიზნე ჯგუფი	ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები	შერეული ჯგუფი. კომპოზიცია: არასამთავრობო სექტორი, მედია, მასწავლებლები, პროფესიული კავშირები, სტუდენტები და ახალგაზრდები. მონყვლადი ჯგუფი. იგპ, შშმპ, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, ეკომიგრანტები.
შერჩევის ზომა	14	14

⁸ <https://idfi.ge/statistics-of-persons-with-disabilities>

კვლევის არეალი	თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი, რუსთავი, თელავი	შერეული ჯგუფისთვის: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი, რუსთავი, თელავი. მონყვლადი ჯგუფებისთვის: იგპ – გორი, ზუგდიდი; შშმპ – თბილისი, ქუთაისი; ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები – ბათუმი, რუსთავი; ეკომიგრანტები – თელავი.
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი
ინტერვიუს/დისკუსიის ხანგრძლივობა	35-45 წუთი	2-2.5 საათი

3.2. მეორე რაუნდი

კვლევის მეორე რაუნდისთვის, რომელიც 2018 წლის იანვარში ჩატარდა, მთავარ მიზანს პორტალ ichange.gov.ge-ისა და მისთვის შექმნილი პრომომასალის შეფასება წარმოადგენდა. კვლევის კონკრეტულ ამოცანებად განისაზღვრა:

- ვებგვერდის შეფასება;
- პრომოვიდეოს, ვიდეოსახელმძღვანელოსა და პოსტერის ტესტირება;
- იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომელთა შესახებაც შესაძლებელია პეტიციების ინიცირება;
- პორტალ ichange.gov.ge-ის შეფასება.

კვლევისთვის სამიზნე ჯგუფად მეორე რაუნდში აზრთა ლიდერები და 3 ლოკაცია (თბილისი, თელავი, ზუგდიდი) განისაზღვრა. აზრთა ლიდერების კვლევისთვის გამოყენებული იყო ფოკუსური დისკუსიების ტექნიკა (ლოკაციაში – 2, სულ – 6). ფოკუსური დისკუსიებისთვის შეირჩა დედაქალაქი, დასავლეთ საქართველოსთვის – ზუგდიდი, აღმოსავლეთ საქართველოსთვის – თელავი. სამიზნე ჯგუფი კი შერეული სახით იყო წარმოდგენილი. შერეულ კომპოზიციაში წარმოდგენილები იყვნენ შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები: სტუდენტები, მედია, არასამთავრობო სექტორი, საჯარო სექტორი, სამოქალაქო აქტივისტები.

ცხრილი 2. მეორე რაუნდის დიზაინი

მეორე რაუნდი – თვისებრივი კვლევის დიზაინი	
ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი
სამიზნე ჯგუფი	სტუდენტები, მედია, არასამთავრობო სექტორი, საჯარო სექტორი, სამოქალაქო აქტივისტები
შერჩევის ზომა	6
კვლევის არეალი	თბილისი, ზუგდიდი, თელავი
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი
დისკუსიის ხანგრძლივობა	1,5-2 საათი

3.3. მესამე რაუნდი

კვლევის მესამე რაუნდის მთავარ მიზანს პორტალ ichange.gov.ge-ის მომხმარებელთა მიერ ვებგვერდის შეფასება წარმოადგენდა. კვლევის კონკრეტულ ამოცანებად განისაზღვრა:

- ვებგვერდზე რეგისტრაციის პროცედურის შეფასება;
- პორტალის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელებისთვის ეფექტიანი საკომუნიკაციო არხების იდენტიფიცირება;
- იმ კატეგორიების იდენტიფიცირება, რომლებშიც, შესაძლებელია, პეტიციების ხელმომწერთა ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდეს;
- პორტალ ichange.gov.ge-ზე შესაცვლელი/გასაუმჯობესებელი პარამეტრების/საკითხების შესახებ კონკრეტული იდეების გამოვლენა.

ონლაინ კვლევისთვის, რომელიც 2018 წლის აპრილ-მაისში ჩატარდა, სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა ichange.gov.ge-ის ვებგვერდის მომხმარებლები. ონლაინ კითხვარის შესაბამისი ფორმა pop-up-ბანერის

სახით განთავსდა ვებგვერდზე, შემთხვევითი წესით შერჩეულ 320 რესპონდენტს დაუფიქსირდა შეთავაზება ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობის თაობაზე. მათგან კვლევაში მონაწილეობაზე უარი თქვა 29 რესპონდენტმა, 51-მა კი – შეწყვიტა ონლაინ კითხვარის შევსება. რაც შეეხება შემდგარი ინტერვიუების რაოდენობას, მათმა რიცხვმა 240, კითხვარის შევსების საშუალო ხანგრძლივობამ კი – 9.7 წუთი შეადგინა.

ცხრილი 3. მესამე რაუნდის დიზაინი

მესამე რაუნდი – ონლაინ კვლევის დიზაინი	
ტექნიკა	ონლაინ გამოკითხვა
სამიზნე ჯგუფი	ვებგვერდ ichange.gov.ge -ის მომხმარებლები
შერჩევის ზომა	240
შერჩევის მეთოდი	შემთხვევითი
კითხვარის შევსების ხანგრძლივობა	8-10 წუთი

4. კვლევის შედეგები

4.1. პირველი და მეორე რაუნდის შედეგების მიმოხილვა

კვლევის **პირველი რაუნდის** ძირითადი მიგნებები მნიშვნელოვან მოვლენებსა და პრობლემებს, პორტალს, სამოქალაქო ჩართულობასა და პეტიციის შესაძლო საკითხებს ეხება.

მნიშვნელოვანი მოვლენები. ქვეყანაში ბოლო ერთი წლის მანძილზე ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს შორის მოქალაქეებმა (ფოკუს ჯგუფის მონაწილეები) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ვიზალიბერალიზაცია, მცოცავი ოკუპაცია, ციანიდის საქმე, კაშიას თემა, პავლიაშვილის საქმე, საკონსტიტუციო ცვლილებები დაასახელეს. ოფიციალურ პირთა მიერ დასახელებულ მნიშვნელოვან მოვლენებს შორის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ვიზალიბერალიზაცია და თვითმმართველობის კანონში ცვლილებები დასახელდა. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი (ქალაქისა და თემის გაერთიანება) ოფიციალურ პირთა მიერ მოვლენებს შორის სახელდება, მოქალაქეები კი მას პრობლემად განიხილავენ. თუმცა, აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ოფიციალურ პირთა ნარატივებში ადგილობრივი თვითმმართველობის კანონში ცვლილებები პოზიტიურ შეფასებებს ნაკლებად იმსახურებდა.

მნიშვნელოვან მოვლენებს შორის პირველ რიგში დასახელებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ოფიციალური პირები „დემოკრატიისკენ გადადგმულ ნაბიჯად“ მიიჩნევენ, მოქალაქეების დამოკიდებულება კი მოვლენისადმი წინააღმდეგობრივი იყო. ერთი დისკურსის თანახმად, არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და ეს პოზიტიური მოვლენაა, თუმცა, ამის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც „გაზრდილი მოქალაქე“, ასევე „დაღლილი მოქალაქე“, რომელიც „დინებას გაჰყვა“. მეორე დისკურსის თანახმად, ამომრჩეველთა დაბალმა აქტივობამ მოქალაქეთა დაბალ სამოქალაქო კულტურასა და ადგილობრივი არჩევნების მნიშვნელობის გაუაზრებლობას გაუსვა ხაზი.

პრობლემები. ხელისუფლების მიერ პირველ რიგში გადასაჭრელ პრობლემებს შორის, როგორც მოქალაქეები, ასევე ოფიციალური პირები დასაქმების, განათლების, დაბალი სამოქალაქო ცნობიერებისა და მცოცავი ოკუპაციის პრობლემების მოგვარებას ასახელებდნენ. საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაც ორივე ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. თუმცა, ისეთ პრობლემებზე, როგორცაა მიგრაცია, ქართული ენის არცოდნა საქართველოს მოქალაქეების მიერ, არაპროფესიონალიზმი (პირველ რიგში საჯარო სექტორში) და ნეპოტიზმი, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები საუბრობდნენ. ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად დასახელდა ასევე ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის განვითარების ხედვის, კონკრეტული „ნარატივის“ არარსებობა.

სამოქალაქო ჩართულობა. როგორც მოქალაქეები, ასევე ოფიციალური პირები ყურადღებას ამახვილებდნენ ქვეყანაში დაბალ სამოქალაქო ჩართულობაზე. ამის მთავარ მიზეზად კი ნიჰილიზმსა და არასაკმარის სამოქალაქო განათლებას ასახელებდნენ. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების მიმართ მოქალაქეებში არსებული უნდობლობა და მათ მიერ მოქალაქეთა ინტერესების იგნორირების განცდა, როგორც სამოქალაქო ჩართულობის დამაბრკოლებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი, თავად ოფიციალურ პირთა მიერაც იყო ხაზგასმული. მოქალაქეები სამოქალაქო ჩართულობის სერიოზულ ბარიერად შიშის ფაქტორსაც ასახელებდნენ, რაც, ძირითადად, „სამსახურის დაკარგვასთან“ იყო დაკავშირებული.

სამოქალაქო ჩართულობის ფორმებთან დაკავშირებით ოფიციალური პირები ყველაზე ხშირად ასახელებდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი განცხადებით მიმართვას, საკრებულოს სხდომებზე დასწრებას, ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობას. მოქალაქეების მხრიდან ყველაზე ხშირად დასახელებული

მაგალითები კი უკავშირდებოდა დასუფთავებისა და გამწვანების აქციებს, ასევე, განცხადებების საფუძველზე კონკრეტული საკითხების მოგვარებას (შუქნიშნების დამონტაჟება, გადასასვლელების მონყობა და სხვა).

როგორც მოქალაქეები, ასევე ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ ძირითადად აქტიურობენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და აქტიური მოქალაქეები. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მათ იციან, როგორ წამოიწიონ საკითხები, აქვთ გამოცდილება და მათთვის სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა საქმეც არის და პასუხისმგებლობაც. აქტიური მოქალაქეების კონტექსტში კი ხაზგასმული იყო, რომ ისინი მცირე ჯგუფს წარმოადგენენ, რომელსაც „რადაციის შეცვლის სურვილი“ აქვს და რომლის განახლება ხშირად არ ხდება.

როგორც მოქალაქეები, ასევე ოფიციალური პირები სამოქალაქო ჩართულობის გასაზრდელად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სამოქალაქო განათლების ხელშეწყობას და ამ კუთხით მთავარ აქტორებად სკოლას და არასამთავრობო სექტორს ასახელებდნენ. სამოქალაქო ჩართულობის გააქტიურებისთვის ხელისუფლების არასაკმარის და სამოქალაქო სექტორის განსაკუთრებულ აქტიურობაზე თავად ოფიციალური პირებიც საუბრობდნენ.

პორტალის შეფასება. როგორც მოქალაქეები, ასევე ოფიციალური პირები პორტალის მნიშვნელობას პოზიტიურად აფასებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ეს არის ქვეყნის მართვის პროცესში მოქალაქეთა ჩართვის კიდევ ერთი გზა. ორივე ჯგუფში (მოქალაქეები/ოფიციალური პირები) ნაკლები იყო სკეპტიციზმი პეტიციის განსახილველად 10 000 ხელმოწერის შეგროვებასთან დაკავშირებით. პორტალის ეფექტიანი მუშაობისთვის მთავარ დაბრკოლებად თავად პორტალის შესახებ მოქალაქეთა არაინფორმირებულობა იყო მიჩნეული.

როგორც მოქალაქეების, ისე ოფიციალურ პირთა მხრიდან სკეპტიციზმი შეინიშნებოდა საჯარო უწყებებში დასაქმებულთა მიერ პორტალის შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით მთავარ დაბრკოლებად ის გარემოება დასახელდა, რომ პორტალი სამთავრობოა.

პორტალის მნიშვნელობას ორივე ჯგუფის (მოქალაქეები/ოფიციალური პირები) მხრიდან ხაზი გაესვა იმ კუთხითაც, რომ პეტიციის ინიცირებით მოხდება თემის აქტუალიზაცია, ხელმომწერთა რაოდენობის მიხედვით კი, როგორც ხელისუფლებას, ასევე საზოგადოებას ექნება ინფორმაცია აქტუალური საკითხების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ როგორც ზოგადად პორტალის, ასევე სამოქალაქო ჩართულობის სხვადასხვა ფორმის, მათ შორის, პეტიციის მუშაობის ეფექტიანობის გასაზრდელად მოქალაქეებიც და ოფიციალური პირებიც აუცილებელ ნაბიჯად ფართო აუდიტორიისთვის კონკრეტული, პოზიტიური შედეგების დემონსტრირებას მიიჩნევენ. კვლევის მონაწილეთა აზრით, წარმატებული მაგალითების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება საზოგადოებას სამოქალაქო ჩართულობის რეალურ მნიშვნელობასა და მისი კონკრეტული ფორმების ქმედუნარიანობაში დაარწმუნებს.

რაც შეეხება კვლევის **მეორე რაუნდს**, მისი მთავარი მიგნებები უშუალოდ ვებგვერდს, პეტიციის შესაძლო საკითხებსა და პორტალს ეხება.

ვებგვერდის შესახებ. კვლევის შედეგების თანახმად, ვებგვერდისთვის სწორად არის შერჩეული ფერები და ისინი მომხმარებელს პოზიტიურად განაწყობს. თუმცა, ვებგვერდის ეფექტიანად გამოყენებას ყველაზე მეტად რეგისტრაციის ფორმა შეუშლის ხელს, ვინაიდან მოთხოვნილი პირადი ინფორმაცია ძალიან დეტალურია, შესავსები ყველა ველი არ არის ცხადი და ვებგვერდს აქვს ტექნიკური ხარვეზები.

ვებგვერდის ეფექტიანი მუშაობისთვის კვლევის მონაწილეებმა სასურველად მიიჩნიეს, გვერდზე არსებობდეს:

- პეტიციის შედგენის დეტალური ინსტრუქცია;
- სიახლეების ბმული;
- ინფორმაცია პეტიციის შესაძლო შედეგებზე;
- კატეგორიების ქვეკატეგორიებად ჩაშლა;
- კატეგორიების თემატურად გაფილტვრის შესაძლებლობა;
- ენების მხარდაჭერა და ვებგვერდის მისამართის ქართულ დომენთან ინტეგრირება;
- ვებგვერდის ადაპტირება შშმ პირთათვის.

პეტიციის შესაძლო საკითხები. მეორე რაუნდისთვის პორტალზე ინიცირებისა და ხელმომწერთა მობილიზებისთვის გამოვლინდა შემდეგი აქტუალური თემები/საკითხები:

- ნარკოპოლიტიკა;
- სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაციის წესის შეცვლა;
- დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა;
- საშემოსავლო გადასახადის შემცირება;
- შრომის ინსპექციის შექმნა;
- შშმ პირთათვის ინტეგრირებული გარემოს შექმნა;
- საგზაო უსაფრთხოება;
- საპენსიო ასაკის გათანაბრება;
- მშენებლობის ნებართვის გაცემის წესში ცვლილება;
- განათლების სფეროსთვის ბიუჯეტის გაზრდა (მანდატური ყველა სკოლას; ფსიქოლოგი ყველა სკოლას; ცნობიერების ამაღლება და ტრენინგები მშობლებისთვის);
- ჯანდაცვის საკითხები (სერვისების შეთავაზება აუტისტური სპექტრის ბავშვებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთათვის; ამბულატორია ყველა სოფელს);
- გარემოსდაცვითი საკითხები.

პორტალ *ichange.gov.ge*-ის შესახებ. როგორც კვლევის მეორე რაუნდის შედეგებმა აჩვენა, პორტალის შექმნა პოზიტიურ შეფასებებს იმსახურებს, თუმცა, დისკუსიის მონაწილეებს კითხვები აქვთ პლატფორმის რეალურად ამუშავებასთან დაკავშირებით და ამ მიზნის მიღწევის გზაზე რამდენიმე დაბრკოლებას ხედავენ. კერძოდ: (1) პორტალის სამთავრობო ხასიათი; (2) 10 000 ხელმომწერის მობილიზება პეტიციისთვის; (3) ვადები – ერთთვიანი ვადა ხელმომწერთა აუცილებელი მინიმუმის მოსაგროვებლად, მთავრობისთვის კი – სამთვიანი ვადის განსაზღვრა პეტიციის განხილვისათვის.

პორტალის ეფექტიანად ამუშავებისთვის კვლევის მონაწილეები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ:

- ხელისუფლების სათანადო რეაქციას პეტიციებზე (არა – უბრალოდ „ტრაფარეტული პასუხებით“ შემოფარგვლას);
- პეტიციის პორტალზე განუთავსებლობის მიზეზებზე ავტორისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;
- პორტალის პოპულარიზაციას ფეისბუქგვერდისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით;
- ტრენინგების ორგანიზებას პეტიციების შედგენის თაობაზე.


მიუხედავად ბევრი კითხვის ნიშნისა და ეჭვებისა პორტალის ამუშავებასთან დაკავშირებით, რომლის მთავარ მომხმარებლადაც კვლევის მონაწილეები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს მოიაზრებენ, ცალსახად პოზიტიურად შეფასდა მისი არსებობა რამდენიმე მიზეზის გამო: (1) პორტალის არსებობა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებასა და სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებას შეუწყობს ხელს; (2) ეს არის პრობლემების იდენტიფიცირების კარგი საშუალება; (3) გაჩნდა *manifest.ge*-ს ალტერნატივა და მოქალაქეებს აქვთ დამატებითი ასპარეზი სამოქალაქო აქტივობისთვის; (4) ის ხელს შეუწყობს არა უბრალოდ პრობლემების იდენტიფიცირებას, არამედ მათ აქტუალიზაციასაც.

4.2. კვლევის მესამე რაუნდის შედეგები

4.2.1. კვლევის მონაწილეთა დემოგრაფიული პროტრეტი


როგორც ონლაინ კვლევის შედეგები უჩვენებს, კვლევაში მონაწილეთა გენდერული სურათი ასეთია: 52% – ქალი და 48% – კაცი. მათი უმრავლესობა 25-34 წლის (34%) და 25 წლამდე (27%) ახალგაზრდაა. 35-55 წლის კატეგორიებში რესპონდენტთა ჯამმა 36%, 56 წლის და უფრო ასაკოვანი რესპონდენტების რაოდენობამ კი – მხოლოდ 4% შეადგინა.

გრაფიკი 1. რესპონდენტთა სქესი და ასაკი




რაც შეეხება ონლაინ კვლევის მონაწილეთა სამუშაო სტატუსს, ჯამში, დასაქმებული რესპონდენტების რაოდენობა 56%-ს შეადგენს, რომელთაგან ყველაზე დიდი წილი დაქირავებულ მუშაკებზე მოდის (48%). რაც შეეხება უმუშევრებს, მათი რაოდენობა 14%-ია.

გრაფიკი 2. რესპონდენტთა სამუშაო სტატუსი




კვლევის მონაწილე დასაქმებულ რესპონდენტთაგან უმრავლესობა კერძო სექტორშია დასაქმებული (53%). არასამთავრობო სექტორში – ათიდან სამი (31%), საჯარო სექტორში კი – ათიდან ორი (22%) რესპონდენტი მუშაობს.

გრაფიკი 3. დასაქმების სექტორი



კვლევის რესპონდენტთა უმრავლესობის შემოსავალი 1000 ლარამდეა (47%). რესპონდენტთა 21%-ის შემოსავალი 1001-დან 2500 ლარამდე მერყეობს. 2501 ლარს და მეტს შეადგენს საშუალო თვიური შემოსავალი კვლევაში მონაწილეთა 9%-ის თქმით. საკუთარი შემოსავლის გამჟღავნებაზე, ასევე, აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი კვლევის მონაწილეთა 24%-მა განაცხადა.


გრაფიკი 4. რესპონდენტთა საშუალო თვიური შემოსავალი ყველა წყაროს გათვალისწინებით



4.2.2. პორტალის შესახებ


ონლაინ გამოკითხვის შედეგების თანახმად, კვლევის ათიდან ოთხმა მონაწილემ პორტალ *ichange.gov.ge*-ის შესახებ სოციალური ქსელიდან შეიტყო (40%). კვლევის მონაწილეთა 20%-მა პორტალის შესახებ ტელევიზიით, 15%-მა კი – ნაცნობებისგან შეიტყო. პორტალის შესახებ ინფორმაცია უშუალოდ არასამთავრობოებთან შეხვედრისას მიიღო რესპონდენტთა 9%-მა. ამ უკანასკნელთაგან უმრავლესობას უშუალოდ არასამთავრობო სექტორში დასაქმებული რესპონდენტები (64%) წარმოადგენდნენ.

გრაფიკი 5. პორტალ *ichange.gov.ge*-ის შესახებ ინფორმაციის პირველად მიღების წყარო




აღსანიშნავია, რომ ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, გარდა „56+“-ისა, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობამ (80%) პორტალის შესახებ უმეტესად სოციალური ქსელიდან შეიტყო. მათ შორის, ყველაზე დიდი წილი 25 წლამდე ახალგაზრდებზე მოდის (52%). „56+“-ის კატეგორიის რესპონდენტთა უმრავლესობამ პორტალის შესახებ ნაცნობებისგან შეიტყო (40%). რაც შეეხება ტელევიზიას, პორტალის შესახებ ინფორმაცია კომუნიკაციის ამ არხით მიიღო ყველაზე ნაკლებმა რესპონდენტმა, სწორედ „56+“ ასაკობრივ კატეგორიაში (10%). ტელევიზიის საშუალებით პორტალის შესახებ ინფორმაცია უფრო მეტმა რესპონდენტმა მიიღო 35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (46%), ვიდრე სხვა კატეგორიებში.

გრაფიკი 6. პორტალის შესახებ პირველად ინფორმაციის მიღების წყარო ასაკის ჯგუფში




ონლაინ კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა უმრავლესობისთვის (82%) პორტალის შინაარსი გასაგები ან სავსებით გასაგებია. ისეთი რესპონდენტების რიცხვმა კი, რომელთათვისაც ichange.gov.ge-ის კონტენტი მეტ-ნაკლებად გასაგები ან გაუგებარია, 15% შეადგინა.

გრაფიკი 7. რამდენად გასაგებია პორტალის შინაარსი/კონტენტი




კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის მიერ პორტალზე რეგისტრაციის პროცედურა შეფასდა, როგორც ძალიან მარტივი (57%), ძალიან რთული კი, რეგისტრაციის პროცედურა რესპონდენტთა მხოლოდ 7%-ისთვის იყო.

გრაფიკი 8. პორტალზე დარეგისტრირების პროცედურის სიმარტივე



რაც შეეხება რესპონდენტთა იმ 24%-ს, რომელთათვისაც პორტალზე დარეგისტრირება მეტ-ნაკლებად რთული, რთული ან ძალიან რთული აღმოჩნდა, ისინი მთავარ მიზეზად მოთხოვნილი პერსონალური ინფორმაციის სიმრავლეს ასახელებენ (28%). 21%-ისთვის სირთულეს ვებგვერდის ტექნიკური პრობლემები ქმნიდა, 17%-ისთვის კი პრობლემა ასევე ტექნიკური ხასიათის იყო და, კონკრეტულად, ერთსა და იმავე ველში მომხმარებლის სახელისა და ელფოსტის მითითებას უკავშირდებოდა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ იმ 58 რესპონდენტიდან, რომელთათვისაც რთული იყო პორტალზე რეგისტრაციის პროცედურის გავლა, 13 რესპონდენტს (24%) სირთულის კონკრეტული მიზეზის დასახელება უჭირს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა უმრავლესობისთვის (48%) დარეგისტრირებასთან დაკავშირებული სირთულეები ტექნიკური ხასიათის იყო.

გრაფიკი 9. პორტალზე დარეგისტრირების სირთულეების მიზეზები



კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა, ზოგადად, დაინტერესებულია განათლების (61%), სოციალური საკითხებისა (58%) და რეგიონული განვითარების (58%) კატეგორიის სიახლეებით. თუმცა, პირველ რიგში, დაინტერესების საგანს სოციალური საკითხების კატეგორია (17%) წარმოადგენს. რაც შეეხება კატეგორიას, რომელშიც, კვლევის მონაწილეთა აზრით, პეტიციებზე ხელმომწერთა ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდება, აქაც სოციალური საკითხებია დომინანტური, რადგან კვლევის ათიდან ექვსი (62%) მონაწილე ფიქრობს, რომ სწორედ ამ კატეგორიის პეტიციებს ეყოლება ყველაზე მეტი ხელმომწერი. პირველ რიგში სოციალური საკითხების გარშემო ხელმომწერთა ყველაზე დიდი რაოდენობის კონსოლიდირებაზე მიანიშნებს კვლევაში მონაწილე ყველაზე მეტი რესპონდენტი (43%).


ცხრილი 4. სიახლეების კატეგორიებით კვლევის მონაწილეთა დაინტერესება / კატეგორიები, რომლებშიც პეტიციებზე ხელმომწერთა ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდება.

	რომელი კატეგორიის სიახლეებით ხართ დაინტერესებული პირადად თქვენ?		კატეგორია, რომელშიც დაფიქსირდება პეტიციების ხელმომწერთა ყველაზე მაღალი აქტივობა თქვენი აზრით?	
	ზოგადად	პირველ რიგში	ზოგადად	პირველ რიგში
რეგიონული განვითარება	58%	15%	30%	13%
მეცნიერება	30%	2%	3%	-
სოციალური საკითხები	58%	17%	62%	43%
განათლება	61%	12%	19%	2%
ენერგეტიკა	14%	-	2%	-
საგარეო პოლიტიკა	29%	3%	9%	1%
უსაფრთხოება	40%	6%	14%	3%

ფინანსები	28%	2%	10%	3%
ეკონომიკა	42%	10%	20%	1%
სპორტი	13%	1%	3%	4%
ინოვაციები	33%	4%	4%	1%
ჯანდაცვა	35%	5%	25%	5%
გარემოს დაცვა	55%	12%	24%	5%
კულტურა	38%	4%	10%	2%
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	4%	8%	11%	20%


კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის მიერ პორტალ ichange.gov.ge-ის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის კომუნიკაციის ყველაზე ეფექტიან არხად სოციალური ქსელია მიჩნეული, როგორც – ზოგადად (83%), ასევე – პირველ რიგში (60%). აქვე საგულისხმოა, რომ ზოგადად ეფექტიან წყაროდ არის მიჩნეული ასევე ტელევიზია (58%), ონლაინ მედია (40%) და არასამთავრობოების შეხვედრები მოქალაქეებთან (25%). თუმცა, პირველ რიგში, ყველაზე ეფექტიან წყაროდ სოციალურ ქსელს ათიდან ექვსი (60%) რესპონდენტი, ტელევიზიას კი – ათიდან მხოლოდ ორი (23%) რესპონდენტი მიიჩნევს.

გრაფიკი 10. პორტალის არსებობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ყველაზე ეფექტიანი საკომუნიკაციო არხი




აღსანიშნავია, რომ პირველ რიგში პორტალის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ყველაზე ეფექტიანი საკომუნიკაციო არხად მიჩნეულ სოციალურ ქსელს ყველაზე მეტი მხარდამჭერი *კერძო და/ან საჯარო სექტორში დასაქმებულთა შორის* ჰყავს (69%). სწორედ ეს კატეგორია განიხილავს ტელევიზიას ყველაზე ნაკლებ ეფექტიან საკომუნიკაციო არხად (17%). ათიდან ხუთი უმუშევარი კვლევის მონაწილე ყველაზე ეფექტიანი საკომუნიკაციო არხად სოციალურ ქსელს (55%) მიიჩნევს, მაგრამ ათიდან სამისთვის ტელევიზიაც ეფექტიანი არხია (32%). რაც შეეხება არასამთავრობო სექტორში დასაქმებულებს, მათი უმრავლესობაც სოციალურ ქსელსა (43%) და ტელევიზიას (24%) მიიჩნევს ეფექტიან საკომუნიკაციო არხად. აქვე აღსანიშნავია, რომ, მართალია, არასამთავრობო სექტორში დასაქმებულთა 19% კომუნიკაციის ეფექტიან არხად ასევე მიიჩნევს არასამთავრობოების შეხვედრებს მოქალაქეებთან, თუმცა, ამ იდეას უმუშევრების მხოლოდ 7% და *კერძო და/ან საჯარო სექტორში დასაქმებულთა* მხოლოდ 4% იზიარებს.

გრაფიკი 11. პორტალის არსებობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ყველაზე ეფექტიანი საკომუნიკაციო არხი სამუშაო სტატუსის ჭრილში




როგორც შედეგებმა აჩვენა, ონლაინ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა საკუთარ თავს პეტიციების აქტიურ ხელმძღვრედ განიხილავს (62%). პეტიციების შესახებ სიახლეებით დაინტერესებულ მომხმარებლად მიიჩნევენ მომავალში საკუთარ თავს რესპონდენტთა 38%, 30%-ის თქმით კი, ისინი პეტიციების ავტორების როლში ხედავენ თავს. ონლაინ კვლევაში მონაწილეთაგან უბრალოდ დარეგისტრირებულად საკუთარ თავს რესპონდენტთა მხოლოდ 5% მოიაზრებს.

გრაფიკი 12. რესპონდენტთა მიერ პორტალის მომხმარებლად დანახული საკუთარი თავი




აღსანიშნავია, რომ მომავალში პეტიციების ავტორებად საკუთარ თავს ყველაზე მეტად არასამთავრობო სექტორში დასაქმებულები (35%) ხედავენ. კერძო და/ან საჯარო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი, რომლებიც თავს ასევე მოიაზრებენ პეტიციების ავტორებად, მცირედით ნაკლებია და 30%-ს შეადგენს. უმუშევრების შემთხვევაში კი, პეტიციების ავტორად საკუთარ თავს კვლევაში მონაწილეთა 24% განიხილავს. პეტიციების სიახლეებით დაინტერესებულადაც ყველაზე მეტად საკუთარ თავს სწორედ არასამთავრობო სექტორში დასაქმებულები (44%) ხედავენ.

გრაფიკი 13. პორტალის პოტენციური მომხმარებლის სტატუსი დასაქმების სექტორის მიხედვით



გარდა დასაქმების სექტორისა, ასევე საგულისხმოა, რომ ონლაინ კვლევის მონაწილე კაცები უფრო მოიაზრებენ საკუთარ თავს პეტიციის/პეტიციების ავტორებად (36%), ვიდრე ქალები (24%). ასევე, პეტიციების აქტიურ ხელმომწერადაც საკუთარ თავს უფრო მეტი კაცი ხედავს (65%), ვიდრე ქალი (59%). პეტიციების სიახლეებით თანაბრად არიან დაინტერესებულნი კვლევის მონაწილე ქალი და კაცი რესპონდენტები (შესაბამისად – 38% და 37%).

გრაფიკი 14. პორტალის პოტენციური მომხმარებლის სტატუსი გენდერის ჭრილში



ონლაინ კვლევის ფარგლებში რესპონდენტთათვის შეთავაზებული იყო სხვადასხვა დებულების შეფასება და იმის გარკვევა, რამდენად ეთანხმებოდნენ ისინი კონკრეტულ მოსაზრებას. როგორც შედეგებმა აჩვენა, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პორტალის შესახებ საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, რაც გაართულებს პორტალის ეფექტიან მუშაობას (67%). პრობლემად არის მიჩნეული ისიც, რომ საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია მთავრობის კომპეტენციებთან დაკავშირებით (62%), რაც, თავის მხრივ, პრობლემას წარმოადგენს პორტალის ეფექტიანი მუშაობისთვის.

კვლევის მონაწილეთა უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ რეგისტრაციის წესი და მოთხოვნილი პირადი ინფორმაცია ნაკლებად შექმნის დაბრკოლებას მოქალაქეთა დარეგისტრირებისთვის (48%), ვიდრე – პირიქით (31%). თუმცა, დაბრკოლებად არის მიჩნეული ის გარემოება, რომ ონლაინ მუშაობის შესაძლებლობა და უნარები ყველას არ აქვს (46%).

რესპონდენტთა 51%-ს მიაჩნია, რომ პეტიციის განხილვისთვის აუცილებელი 10 000 ხელმოწერის ერთი თვის ვადაში მოგროვება არარეალისტურია. 64%-ის აზრით კი, პეტიციის ხელმომწერთა ვინაობის ანონიმურად დატოვება გაზრდის ხელმომწერთა რაოდენობას.


მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეები პრობლემატურად მიიჩნევენ რეგისტრაციის პროცედურებს, ასევე, ონლაინ მუშაობის შესაძლებლობებსა და უნართან დაკავშირებითაც არ არიან ოპტიმისტურად განწყობილნი, მათი 80% მაინც თვლის, რომ პეტიციაზე ონლაინ ხელმოწერა მოსახერხებელია (მაგალითად, ზოგავს დროს) და ხელს შეუწყობს ხელმომწერთა მობილიზებას.

ცხრილი 5. დებულებების შეფასება

	არ ვეთანხმები	მეტ-ნაკლებად ვეთანხმები	ვეთანხმები
პორტალის შესახებ საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, რაც ხელს შეუშლის პორტალის ეფექტიან მუშაობას.	16%	18%	67%
საზოგადოებას ნაკლები ინფორმაცია აქვს იმის თაობაზე, თუ რა საკითხების განხილვა შედის მთავრობის კომპეტენციაში, რაც ნეგატიურ გავლენას მოახდენს პორტალის ეფექტიან მუშაობაზე.	19%	20%	62%
რეგისტრაციის წესი და მოთხოვნილი პირადი ინფორმაცია დააბრკოლებს მოქალაქეებს, დარეგისტრირდნენ პორტალზე.	48%	20%	31%
ონლაინ მუშაობის შესაძლებლობა და უნარები (მაგ: წვდომა ინტერნეტთან, მისი გამოყენების არცოდნა) ყველას არ აქვს, რაც დააბრკოლებს პორტალის მუშაობას.	27%	26%	46%
10 000 ხელმომწერის მოგროვება ერთი პეტიციისთვის 1 თვეში არარეალისტურია.	34%	15%	51%
პეტიციის ხელმომწერთა ვინაობის ანონიმურად დატოვება გაზრდის ხელმომწერთა რაოდენობას.	20%	17%	64%
პეტიციაზე ონლაინ ხელმომწერა მოსახერხებელია (მაგ: ზოგავს დროს), რაც პეტიციებისთვის ხელმომწერთა მობილიზებას ხელს შეუწყობს.	10%	10%	80%


ონლაინ კვლევის მონაწილეებს ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა, შემოეთავაზებინათ ნებისმიერი ინიციატივა/იდეა პორტალის მუშაობის გასაუმჯობესებლად. როგორც აღმოჩნდა, იმ რესპონდენტთა უმრავლესობისთვის, რომლებმაც საკუთარი ინიციატივა/იდეა დააფიქსირეს, სამირამარის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, კერძოდ: (1) აუცილებელია პეტიციაზე ხელმომწერთა რაოდენობის შემცირება (29%); (2) მნიშვნელოვანია პორტალის შესახებ ინფორმაციის გავრცელება (24%); (3) აუცილებელია, ავტორებს პორტალის ადმინისტრაციამ განუმარტოს პეტიციის პორტალზე გამოუქვეყნებლობის მიზეზები (14%).

გრაფიკი 15. იდეები პორტალის მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით



საგულისხმოა, რომ პორტალთან დაკავშირებით გამოთქმულ სამ ყველაზე ხშირ იდეას შორის უმუშევრებისა და კერძო და/ან საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის ყველაზე აქტუალურია პორტალის შესახებ ინფორმაციის გავრცელება (32%-30%). არასამთავრობო სექტორში დასაქმებულთათვის კი ყველაზე აქტუალურ საკითხს განსახილველად პეტიციის მიერ 10 000 ხელმოწერის მობილიზების აუცილებლობა წარმოადგენს (45%). ასევე აღსანიშნავია, რომ პეტიციების გამოქვეყნებაზე არგუმენტირებული უარი თითქმის არააქტუალურია უმუშევარი რესპონდენტებისთვის (4%).

გრაფიკი 16. იდეები პორტალის მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სამუშაო სტატუსის ჭრილში



4.2.3. მესამე რაუნდის შედეგების მიმოხილვა

- ონლაინ კვლევაში მონაწილეთაგან უმრავლესობა 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდაა (61%).
- კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტი დასაქმებულია (56%). მათი უმრავლესობა დასაქმებულია კერძო სექტორში (53%), 31% კი – არასამთავრობო სექტორში.
- რესპონდენტთა უმრავლესობის საშუალო თვიური შემოსავალი 1000 ლარამდეა (47%).
- ichange.gov.ge-ის შესახებ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობამ სოციალური ქსელიდან შეიტყო (40%).
- არასამთავრობოებთან შეხვედრაზე პორტალის შესახებ ინფორმაცია კვლევის მონაწილეთა 9%-მა შეიტყო. აქ საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელთა უმრავლესობა თავად არის დასაქმებული არასამთავრობო სექტორში.
- სოციალური ქსელით პორტალის შესახებ ინფორმაცია ყველაზე ნაკლებმა რესპონდენტმა „56+“ ასაკობრივ კატეგორიაში შეიტყო. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ კატეგორიის რესპონდენტებს შორის ყველაზე მეტია მათი რიცხვი, ვინც პორტალის შესახებ ნაცნობებისგან გაიგო (40%). ტელევიზიით კი ყველაზე მეტმა რესპონდენტმა პორტალის შესახებ ინფორმაცია 35 წლამდე კატეგორიაში მიიღო (46%).
- კვლევის მონაწილეთა უმრავლესობისთვის ichange.gov.ge-ის კონტენტი გასაგები ან სავსებით გასაგებია (82%). პორტალზე რეგისტრაციის პროცედურებიც უმრავლესობისთვის მარტივი ან ძალიან მარტივი აღმოჩნდა (57%).
- მათი უმრავლესობისთვის, ვისთვისაც პორტალზე რეგისტრაცია რთული იყო (24%), ამის მთავარი მიზეზი პორტალის სხვადასხვა ტექნიკურ ხარვეზს უკავშირდებოდა (48%). 28%-ისთვის კი პრობლემას რეგისტრაციისთვის მოთხოვნილი ბევრი პერსონალური ინფორმაცია წარმოადგენდა.
- კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა, პირველ რიგში, სოციალური საკითხების კატეგორიით არის დაინტერესებული (17%) და მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტი ხელმომწერი სწორედ სოციალური საკითხების კატეგორიის პეტიციებს ეყოლება (43%).
- პორტალის არსებობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ყველაზე ეფექტიან საკომუნიკაციო არხად კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა სოციალურ ქსელს მიიჩნევს ზოგადადაც (83%) და პირველ რიგშიც (60%).
- კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა საკუთარ თავს მომავალში პეტიციების აქტიურ ხელმომწერად ხედავს (62%). პეტიციების ავტორად ყველაზე მეტად საკუთარ თავს არასამთავრობო სექტორში დასაქმებულები (35%) და კაცები (36%) მოიაზრებენ.
- ონლაინ კვლევის მონაწილეთა აზრით, პორტალის შესახებ საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, რაც გაართულებს პორტალის ეფექტიან მუშაობას (67%). პრობლემადაა ასევე მიჩნეული ის, რომ საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა საკითხები შედის მთავრობის კომპეტენციაში (62%).

- კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ რეგისტრაციის წესი და მოთხოვნილი პირადი ინფორმაცია ნაკლებად შექმნის დაბრკოლებას მოქალაქეთა დარეგისტრირებისთვის (48%), თუმცა, 46%-ისთვის დაბრკოლებად არის მოაზრებული ის გარემოება, რომ ონლაინ მუშაობის შესაძლებლობა და უნარები ყველას არ აქვს.
- რესპონდენტთა 51% მიიჩნევს, რომ პეტიციის განხილვისთვის აუცილებელი 10 000 ხელმოწერის ერთი თვის ვადაში მოგროვება არარეალისტურია, მაგრამ 80% მაინც მიიჩნევს, რომ პეტიციაზე ონლაინ ხელმოწერა მოსახერხებელია (მაგალითად, ზოგავს დროს) და ხელს შეუწყობს ხელმოწერთა მობილიზებას.
- სამი რამ, რაც უნდა შეიცვალოს/გაუმჯობესდეს პორტალის ეფექტიანი მუშაობისთვის, შემდეგია: (1) აუცილებელია პეტიციაზე ხელმოწერთა რაოდენობის შემცირება (29%); (2) მნიშვნელოვანია პორტალის შესახებ ინფორმაციის გავრცელება (24%); (3) აუცილებელია, ავტორებს პორტალის ადმინისტრაციამ განუმარტოს პეტიციის პორტალზე გამოუქვეყნებლობის მიზეზები (14%).
- პეტიციაზე ხელმოწერთა რაოდენობის შემცირების აუცილებლობაზე ყველაზე მეტად არასამთავრობო სექტორში დასაქმებულები (45%) მიუთითებენ. პორტალის შესახებ ინფორმაციის გავრცელება კი უმუშევრებისა (32%) და საჯარო და/ან კერძო სექტორში დასაქმებულთათვის არის (30%) უფრო მნიშვნელოვანი.

რეკომენდაციები

კამპანიის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგებისა და შეხვედრების საფუძველზე აღმოჩენილი ხარვეზების, აგრეთვე, სამრეწობო კვლევის შედეგების გათვალისწინებით, საიამ პორტალ ichange.gov.ge-ის ფუნქციონირების ეფექტიანობის გასაზრდელად შემდეგი რეკომენდაციები შეიმუშავა:

- სასურველია პეტიციაზე ხელმოწერების აუცილებელი რაოდენობის შემცირება. მნიშვნელოვანია, გადაიხედოს პეტიციის განხილვისთვის 10 000 ხელმოწერის დაგროვების აუცილებლობა და ხელმოწერების რაოდენობა იყოს გონივრული, რათა მოქალაქეებს გაუჩნდეთ განცდა, რომ პორტალი რეალურად არის ორიენტირებული მოქალაქეთა ჩართულობის ამ მექანიზმის გამოყენებაზე და მთავრობა მზად არის, განიხილოს სხვადასხვა სამოქალაქო ინიციატივა. პეტიციაზე ხელმოწერთა რაოდენობის შემცირების აუცილებლობაზე აღნიშნული იყო საიას მიერ ორგანიზებულ ყველა შეხვედრასა და ტრენინგზე. აგრეთვე, ამაზე მეტყველებს „ეისითი“-ს მიერ ჩატარებული კვლევის სამივე რაუნდის შედეგები.
- სასურველია რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება რეგისტრაციისთვის მოთხოვნილი სავალდებულო ველების შემცირებით. პორტალის საჯარო რეესტრის ვებგვერდთან მიზმის შემთხვევაში, რეგისტრაციის გასაწვლელად საკმარისი იქნება ისეთი პირადი ინფორმაციის მითითება, როგორცაა სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ელფოსტა.
- სასურველია, ვებგვერდი ტრანსფორმირდეს და გახდეს **Mobile Friendly**.
- აუცილებელია, ვებგვერდზე აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზები. კერძოდ, ამ ეტაპზე ელფოსტა მომხმარებლის სახელის იდენტიფიკაცია რეგისტრაციის გავლის დროს, ავტორიზაციისას კი, ველში მომხმარებლის სახელია მითითებული. ამ პრობლემით ვებგვერდის მომხმარებელი ხშირად მიმართავს ადმინისტრაციას. აღნიშნული საკითხი გამოიკვეთა კვლევის ფარგლებშიც.
- სასურველია ავტორიზებული მომხმარებლის პროფილი პორტალზე კარგად გამოჩნდეს.
- სასურველია, ვებგვერდის დახმარების ბმული მოდიფიცირდეს და მას დაერქვას „ხშირად დასმული კითხვების“ ბმული. ამ ეტაპზე ვებგვერდის დახმარების ველი არ პასუხობს მის შინაარსს, რადგან ის მომხმარებელს კითხვის დასმის შესაძლებლობას არ აძლევს. ამ მიზნით კი, სასურველია, გაჩნდეს ახალი – „კონტაქტის“ ბმული.
- სასურველია, პორტალს დაემატოს „კონტაქტის“ ბმული, სადაც მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. ამ ბმულთან შესაძლებელია ინტეგრირდეს როგორც ონლაინ კონსულტაციის, ასევე ელფოსტის ველები ან ორივე მათგანი.
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის №557 დადგენილების თანახმად, თუ პეტიცია არ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, ინიციატორს 2 დღის ვადაში ეცნობება პასუხი. თუმცა, რეალურად, მსგავსი პრაქტიკა ჯერ არ დაფიქსირებულა. პეტიციის ავტორებს არ ეგზავნებათ ინფორმაცია არც პეტიციის გამოქვეყნების და არც პეტიციის დარეგისტრირებაზე უარის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პეტიციის ავტორებს ეცნობოთ არა უბრალოდ პეტიციის რეგისტრაციაზე უარის, არამედ მისი მიზეზების შესახებაც.

- აგრეთვე, ავტორებს ელფოსტით აუცილებლად უნდა აცნობონ პეტიციის გამოქვეყნების შესახებ. პეტიციების ავტორთა ინფორმაციით, ისინი გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ თავად იგებენ მათი პეტიციის გამოქვეყნების შესახებ, დაკარგული დრო კი კამპანიის წარმოებაზე ნეგატიურად აისახება.
- სასურველია პორტალზე დარეგისტრირებულ ყველა მომხმარებელს ჰქონდეს არა უბრალოდ სიახლეების გამონერის, არამედ მისთვის სასურველი კატეგორიების მონიშვნისა და შესაბამისი სიახლეების ელფოსტით მიღების შესაძლებლობა. შესაბამისი ფუნქციის დამატება გაცილებით ეფექტიანს გახდის ხელმომწერების მობილიზების პროცესს და ხელს შეუწყობს პორტალის აქტუალურობის შენარჩუნებას უკვე დარეგისტრირებულ მომხმარებლებში.
- პორტალის ცნობადობის გაზრდისა და პეტიციების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის მნიშვნელოვანია მათი გაზიარება ichange.gov.ge-ის [facebook](https://www.facebook.com/ichange.gov.ge)-გვერდზე და აქტიური კამპანიის წარმოება სწორედ [facebook](https://www.facebook.com/ichange.gov.ge)-ის საშუალებით.
- მნიშვნელოვანია მუშაობის გააქტიურება კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებთან და პროცესში არასამთავრობო სექტორის განსაკუთრებული ჩართულობა.
- აუცილებელია კამპანიის პროცესში მთავრობის ადმინისტრაციის მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა, რათა მოქალაქეები დარწმუნდნენ, რომ პორტალი არ არის შექმნილი უბრალოდ გარკვეული ვალდებულების გამო და მთავრობა რეალურად უჭერს მხარს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას.